

ଲେଖକ

ნაცუმე სოსეკი

ათი ღამის
სიზმრები

ოლოვე
გადამისა

ნაცუმე სოსეკი
ათი ღამის სიზმრები

夏目漱石 夢十夜

Natsume Sōseki
TEN NIGHTS OF DREAMS

იაპონურიდან თარგმნა თამთა ბოკერიამ

JAPAN FOUNDATION  国際交流基金

ნიგნი გამოიცა იაპონიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

後援：独立行政法人国際交流基金

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-820-3

www.diogene.ge

სარჩევი

ათი ლამის სიზმრები	7
ბუნჩო.....	41
ტაუერი	61
უცნაური ხმები.....	95
მიზიდულობის გენეტიკური თავისებურებანი.....	103

ათი ლამის სიზმრები

ლამე პირველი

სიზმარი კნახე.

სასთუმალთან ვიჯექი და ხელები გულზე მქონდა დაკ-რეფილი.

ქალი გულალმა იწვა. ვკვდებიო, ხმადაბლა წარმოთქა. თავი სასთუმალზე ედო, ლამაზად გადაფენილ გრძელ თმაში ჩამალულიყო მისი ნაზად მომრგვალებული, მშვენიერი სახის ოვალი. სახე გვერდით მოეპრუნებინა. თეთრ ლანვებზე ალ-მური მოსდებოდა. ბაგეები მეწამული ჰქონდა. მართლაც არ ჰგავდა მომაკვდაეს.

– ვკვდები, – ისევ თქვა ხმადაბლა და გარკვევით.

მე ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ნამდვილად კვდებოდა.

– რაო? ნუთუ უნდა მოკვდე? – ვკითხე და კარგად და-ვაკვირდი.

მან ფართოდ გაახილა თვალები და, ვკვდებიო, გაიმეორა. დიდი, წყლიანი თვალები ჰქონდა, გრძელი წამწამებით შემოჯარული. საოცარი სიშავე ჩამდგარიყო მის თვალებში. შავი გუგების სიღრმეში ჩემი სილუეტი ირეკლებოდა. გამჭო-

ლი მზერა ჰქონდა. ვუცქერდი მისი თვალების ელვარებას და ვფიქრობდი, ნუთუ შეიძლება ასე უბრალოდ მოკვდეს-მეთქი.

სახე სასთუმალთან ახლოს მივიტანე და ალერსიანი ხმით ვუთხარი, არ მოკვდები, კარგად იქნები-მეთქი.

თითქოს გამოფხიზლდაო, ფართოდ გაახილა შავი თვალე-ბი და ხმადაბლა მიპასუხა:

- არადა, ვკვდები. რა გაეწყობა...
- მხედავ? ხედავ ჩემს სახეს? – ჩავეკითხე დაჭინებით.
- გხედავ? აბა, კარგად დამაკვირდი. განა ვერ ამ ამჩნევ შენს ანარეკლს ამ თვალებში? – შემომცინა გულლიად.

მე დავდუმდი. სახე სასთუმალს მოვაშორე. ხელები ისევ გულზე მქონდა დაკრეფილი და ვფიქრობდი, განა შეიძლება, აი, ასე, ამგვარად მოკვდეს-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა მითხრა:

– გთხოვ, რომ მოკვდები, მიწაში დამმარხე. საფლავი დიდი მარგალიტის ნიუარით გათხარე. საფლავის ქვად ცი-დან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის ნატეხი გამოიყენე. ძალიან გთხოვ, საფლავთან დამელოდე. შენ სანახავად დავბრუნდები.

– როდის უნდა დაბრუნდე ჩემ სანახავად? – ვკითხე მე.

– მზე ხომ ამოვა? მერე ხომ ჩავა? მერე ისევ ამოვა და, ალბათ, ისევ ჩავა. და, აი, ასე, ალისფერი მზე დაუსრულებლად ამოვა აღმოსავლეთიდან და დასავლეთით ჩაესვენება. ჰედა, ერთხელაც მე მოვალ შენთან. ხომ დამიცდი?

მე გავჩიმდი და თავი დავუქნიე. მან ერთი წამით ხმას აუწია:

– უნდა გთხოვო, რომ ასი წელი დამელოდო, – მის ხმაში დიდი გაბედულება და თავგანწირვა იგრძნობოდა, – ასი წელი ჩემს საფლავთან იჯექი და მელოდე. ნამდვილად მოვალ.

ვუპასუხე, რომ დაველოდებოდი. ამის თქმა იყო და, შავი გუგების სიღრმეში არეკლილი ჩემი გამოსახულება ნელ-ნელა

დაიშალა, ზუსტად ისე, წყლის ზედაპირზე დაცემულ ჩრდილს რომ შეარხევს და გაფანტავს ხოლმე მდორე დინება. ქალმა თვალები დახუჭა. გრძელი წამნამებიდან ლანვებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ის უკვე მკვდარი იყო.

მე ბალში ჩავედი და მარგალიტის ნიუარით საფლავის გათხრა დავიწყე. დიდი ნიუარა იყო, გლუვი და ბასრი კიდეებით. მიწას რომ ვთხრიდი, ნიუარას მთვარის შუქი ეცემოდა და ციმციმებდა. ნოტიო მიწის სუნი დადგა. საფლავი მალე გავთხარე, ქალი შიგ ჩავასვენე და ზემოდან რბილი მიწა გადავაყარე. მიწას რომ ვაყრიდი, მარგალიტის ნიუარა ისევ მთვარის სხივებმა გაანათა. მერე ჩამოვარდნილი ვარსკვლავის ნატეხი მოვიტანე და მსუბუქად ჩავარჭვე მიწაში. ნატეხი მრგვალი იყო. გავიფიქრე, ზეციდან ჩამოვარდნისას, როგორც ჩანს, გრძელი გზა გამოიარა და, ალბათ, კუთხეები ასე მაშინ დაუგლუვდა-მეთქი. ხელში რომ მეჭირა და მიწაში ვასობდი, გულსა და ხელებს მითბობდა.

იქვე ხავსზე დავჯექი. გავიფიქრე, ასე ასი წელიწადი მომიწევს ლოდინი-მეთქი. გულხელი დავიკრიფე და საფლავის ქვას დავაცეკრდი. ამასობაში, როგორც ქალმა თქვა, აღმოსავლეთიდან მზე ამოვიდა. დიდი, წითელი მზე იყო და ზუსტად ისე, როგორც ქალმა მითხრა, დასავლეთით ჩაესვენა. რომ ჩადიოდა, მაშინაც კი წითელი იყო. ეს ერთი-მეთქი და ათვლა დავიწყე.

ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლისფერი მზე ისევ წელა ამოიწვერა და კვლავ უხმოდ ჩაიძირა. ეს მეორე-მეთქი, დავითვალე.

ვითვლიდი და ვითვლიდი. აღარც კი მახსოვს, მენამული მზე რამდენჯერ ვიხილე. უსასრულოდ ვითვლიდი. წითელი მზეც ჩემ თავზემოთ კვლავ ამოდიოდა და ჩადიოდა, მაგრამ ასი წელიწადი არ გადიოდა. ხავსმოდებულ საფლავის ქვას ვუმზერდი და ვფიქრობდი, ალბათ, ქალმა მომატყუა-მეთქი.

ერთხელაც, უეცრად, საფლავიდან მწვანე ყლორტი ამო-იზარდა და ირიბად ჩემკენ გამოიწია. ყლორტი თვალის და-სამხამებაში გაიზარდა და ჩემს მკერდთან გაჩერდა. ამის გააზრებაც ვერ მოვასნარი, რომ მთრთოლვარე ყლორტის წვერზე ყელი მოიღრა მოგრძო კვირტმა და უცებ გაშალა ფაფუკი ფურცლები. თეთრი შროშანი იყო. მისი სურნელება თითქოს ძვალ-რბილში ატანდა. მერე საიდანლაც წვეთი ჩა-მოვარდა და ყვავილზე დაეცა. ყვავილმა სიმძიმისგან რხევა დაიწყო. მე თავი წინ გადავწიე და ცივი წვეთებით დანამულ ყვავილის ფურცლებს ვეამბორე. შროშანს სახე რომ მოვა-შორე, უნებურად ზეცას ავხედე. იქ ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა.

აი, ასი წელიწადიც გასულა-მეთქი, გავიფიქრე.

ლამე მეორე

სიზმარი ვნახე.

მე სწრაფად გამოვედი ტაძრის წინამძღვრის ოთახიდან და დერეფნის გაყოლებაზე მდებარე ჩემს სენაკში დავპრუნ-დი. სენაკში მქრქალი შუქით ბუუტავდა ქალალდის სანათი. ცალი მუხლით ქვეშაგებზე დავეშვი. ამ დროს სანათი შეირ-ხა და ალისფრად გალაქულ სადგამზე ჩამოვარდა პატრუქის ნაწილაკი, რომელიც მიხავის პანანინა მარცვალს წააგავდა. სენაკი განათდა.

შირმაზე ბუსონის¹ ნახატი იყო. მასზე შავი ფერით მოე-ხატათ ტირიფის ხე, სივრცის უკეთ ალსაქმელად მუქი და

¹ იოსა ბუსონი – XVIII საუკუნის იაპონელი პოეტი და მხატვარი.

ღია ტონების მონაცვლეობით. იქვე სანაპიროს მიუყვებოდა ჩალისქუდიანი შეცივებული მეთევზე. შემოსასვლელის ნიშაში ეკიდა გაშლილი გრაგნილი, რომელზეც გამოსახული იყო ლვთაება მანჯუშრი ზღვაზე. სენაკში სურნელოვანი საკმევლის ჩხირი უკვე ჩამწვარიყო და გაძვებულიყო, თუმცა მაინც აფრქვევდა სურნელს. დიდი ტაძარი მდუმარებაში იყო ჩაფლული. ადამიანის კვალიც კი არ ჩანდა. სენაკის შავ ჭერზე მრგვალი სანათი ეკიდა. ზემოთ რომ ავიხედე, უცებ მომეჩვენა, თითქოს სანათის ჩრდილი ცოცხალივით მოძრაობდა.

ცალ ფეხზე ჩავიმუხლე და მარჯვნივ გადავიხარე, რომ ქვეშაგები მარცხენა ხელით გადამებრუნებინა. ის, როგორც ველოდი, ისევ ადგილზე დამზვდა. უვნებლად იდო, ამიტომ ქვეშაგები ისევ გავასწორე და ზედ დავჯექი.

შენ სამურაო ხარო, მითხრა წინამძღვარმა, და თუ ნამდვილი მებრძოლი ხარ, ვალდებული ხარ, საკუთარი სული გამოაფხიზოო. თუ დრო გადის და გონება არ გინათდება, მაში, სამურაო არცა ყოფილხარ, კაცთა მოდგმის ჭუჭყი ყოილხარო.

— ჰა-ჰა! — გაიცინა მან. — ძალიან ხომ არ გაგაწბილე, ჰა?! თუ იტანჯები და გვონია, უსამართლოდ გექცევი, დამიმტკიცე, რომ შენი სული ფხიზლადაა, გონება კი ნათელია! — ეს მომახალა და ზურგი ზიზლით შემაქცია. ეგ გაიძვერა!

დარბაზის ნიშაში საათი დგას და სანამ ის საათი ჩამოკრავს, ჩემი სული უნდა გამოვაფხიზლო. აი, მაშინ კი კვლავ ვეახლები წინამძღვარს და თავს წავაცლი. მას სიცოცხლეს ვერ წავართმევ, სანამ გონება არ გამინათდება და სული არ გამოიღვიძებს. უნდა ვცადო! მე ხომ სამურაო ვარ! თუ ვერ შევძელი და ჩემი სული ვერ გამოვალვიძე, მაშინ ხმლით თვითონ მოვიკლავ თავს. შერცხვენილი სამურაო ვერ იცოცხლებს და ღირსეულად მაინც მოვკვდები!

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ჩემი ხელი თითქოს უნებურად შეცურდა ქვეშაგებში და იქიდან ხანჯალი გამოიღო, თავისი წითლად გალაქული ქარქაშით. ხანჯლის ტარს ხელი ძლიერად ჩავჭიდე და ქარქაშიდან ამოვილე. სენაკი ცივი რკინის ელვარებამ გაანათა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც საზარელი არსება გასრიალდა ჩემი ხელიდან, ხანჯლის წვერისკენ გაცურდა და იქ ერთ ადგილზე გაჩერდა. ეს სისხლის წყურვილი იყო. ვუმზერდი, ხანჯლის ბასრი წვერი ბოლოს-კენ ლურსმანივით როგორ წვრილდებოდა და უცებ სურვილი მომეძალა, ეს წვერი ვინმესთვის ხორციში ჩამესო. თითქოს მთელი ჩემი სხეულიდან სისხლი მარჯვენა ხელის მტევანთან მოგროვდა. ხანჯლის ვადა წებოვანი და სლიპინა გახდა. ტუჩები ამითოთოლდა.

ხანჯალი ქარქაში ჩაგაგე, იქვე, მარჯვენიც დავიდე და ლოტოსის პოზით დავვჯექი. არარაობად უნდა იქცეთო, ქადაგებდა ჯოშუ². ნეტავ, ვიცოდე, რა არის ეს არარაობა? სულელი ბერი!

კბილები გავაკრაჭუნე. უკანა კბილები ძლიერად დავაჭირე ერთმანეთს და წესტოებიდან ცხელი ჰაერი გამოუშვი. საფეთქლები ამტკივდა. თვალები ფართოდ გავახილე.

კედელზე გაშლილი გრაგნილი მოჩანს. კიდევ ჩანს სანათი და ტატამის ფარდაგი. მეჩვენება, სადღაც წინამძღვრის გასივებულ მელოტ თავს ვხედავ თითქოს. მისი დამცინავი ხმაც კი ჩამესმის. ნიანგის ხახასავით დაუფრინია პირი. ეგ გაიძვერა! წავაცლი იმ მოტვლეპილ თავს. სწორედ ამისთვის უნდა გამოვალვიძო ჩემი სული!

— არარაობა... არარაობა... — ვჩურჩულებდი. ვიმეორებდი ამ სიტყვას, მაგრამ სენაკში საკმევლის სურნელი ისევ იდგა და გონებას მიფანტავდა.

² IX საუკუნის ბუდისტი ბერი.

მუშტები შევკარი და თავში წავიშინე. ჯანდაბას-მეთქი ჩემი თავი! უკანა კბილები მიღრჭიალებდა, ისე ძლიერად ვა-ჭერდი ყბებს ერთმანეთს.

იღლიებიდან ოფლი მდიოდა. ზურგი გამიქვავდა. მუხ-ლისთავები ამტკივდა. ალბათ, ამას ვიგრძნობდი, მუხლები რომ დამემტვრია-მეთქი, გავიფიქრე. ძალიან მტკიოდა. ვიტანჯებოდი, ის არარაობა კი ვერაფრით შევიგრძენი. აი, ეგ არის-მეთქი, გავიფიქრებდი თუ არა, მაშინვე ტკივილი მახ-სენებდა თავს. სიბრაზე მომერია და საშინელმა სევდამ შე-მიპყრო. ჩემი ტანჯვა აუტანელი იყო. თვალებიდან ცრემლი ღაპალუპით მდიოდა. მომინდა, საკუთარი სხეული ფრიალო კლდეზე მიმეხეთქებინა, ძვალი დამელენა და ხორცი დამეფ-ლითა.

მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გაუნძრევლად ვიჯექი და ვითმენდი. გული მოურეველი დარდით ამევსო. მე-რე ეს დარდი მთელ ტანში გამიჯდა. ის სადღაც ქვემოდან დაიძრა და მთელი სხეული მოიცვა. კანის ფორებიდან გარეთ გამოსხლტომას ლამობდა, მაგრამ თითქოს სხეულის მთელ ზედაპირზე ყველა გასასვლელი გადაიკეტა. გაუსაძლის მდგო-მარეობაში ვიყავი.

ამასობაში გონებაც ამერია. სანათიც, ბუსონის ნახატიც და კედლის თაროებიც თითქოს ჩანდა, მაგრამ თან არ ჩან-და. ჩემ თვალწინ ხან ქრებოდა და ხან ჩნდებოდა, არარაობა კი წამითაც არ გამოჩენილა. ძალაგამოცლილი ვიჯექი ერთ ადგილას. უცებ მომესმა, დარბაზის საათმა როგორ ჩამოკ-რა. მოულოდნელობისგან შევცბი. მარჯვენა ხელი ხანჯალს წავავლე.

საათმა მეორედაც ჩამოკრა.

ლამე მესამე

სიზმარი ვნახე.

ზურგზე ექვსი წლის ბავშვი მყავს მოკიდებული. ზუსტად ვიცი, რომ ჩემი შვილია. უცებ, ჩემდა გასაოცრად, აღმოვა-ჩენ, რომ უსინათლოა და თავი აქვს გადაპარსული. ვეკითხე-ბი, როდის დაბრმავდი-მეთქი. რაო? რამდენი ხანია, ასე ვარო, მპასუხობს. ბავშვური ხმა აქვს, თუმცა დიდვით ლაპარაკობს. თანატოლივით მელაპარაკება.

ჩვენ გვერდით, ორივე მხარეს, ლურჯად მობიბინე ბრინ-ჯის ყანებია. ბილიკი ვიწროა. სიბნელეში დროდადრო თეთრი ყანჩის ფიგურა თუ გამოკრთება.

– ბრინჯის ყანებში შემოვედით, არა? – მესმის უცებ ზურგს უკან.

– როგორ მიხვდი? – ვეკითხები ისე, რომ თავს არ ვაბ-რუნებ.

– როგორ და, ეს ხომ თეთრი ყანჩის ხმაა? – მპასუხობს ის.

ამის თქმა იყო და, თითქოს შეთქმულანო, ყანჩებმა ჩხა-ვილი დაიწყეს.

ვიცი, ის ჩემი ერთადერთი შვილია, მაგრამ მაინც შე-მეშინდა. ეს რომ ზურგით ვატარო, რას გადამყრის, არავინ იცის, უნდა მოვძებნო ისეთი ადგილი, სადაც დავტოვებ-მეთ-ქი. ეს გავიფიქრე და სიბნელეში უღრანი ტყეც გამოჩნდა. „აი, თუნდაც იქ,“ – გამიელვა თუ არა ამ აზრმა, ზურგს უკან მა-შინვე მომესმა:

– ჰი, ჰი...

რა გაცინებს-მეთქი. ბავშვმა არ მიპასუხა და მკითხა:

– მძიმე ვარ, მამიკო?

– არა, არ ხარ მძიმე, – მივუგე მე.

– ჰოდა, მალე დავმძიმდები, – მიპასუხა მან.

მდუმარედ მივდიოდი ტყისკენ. დიდხანს ვერ დავალნიე თავი ბრინჯის ყანებში გაკლაკნილ ბილიკს. ბოლოს გზაგასა-ყართან აღმოვჩნდი. გავჩერდი და შევისვენე.

— აქ ქვის ნიშნული უნდა იყოს, — თქვა ბიჭუნამ.

აი, მართლაც დგას რვა სუნი³ სიგანის ქვის ნიშნული, რო-მელიც წელამდე მწვდება. ზედ წარწერაა: „მარცხნივ – ჰიგა-კუბო, მარჯვნივ – ჰოტაპარა“. სიბნელე კი იყო, მაგრამ წით-ლად დაწერილი ასოები მკვეთრად ჩანდა. დამამახსოვრდა, ასოები წითელგულა ხელიკის მუცელივით ხასხასა სისხლის-ფერი იყო.

— მარცხნივ წასვლა აჯობებს, — გასცა განკარგულება ბიჭმა. მარცხნივ გავიხედე და, ცოტა არ იყოს, დავეჭვდი. უღ-რანი ტყის ბნელი ჩრდილები თითქოს ჩვენკენ მოიწევდა, ჩვენ ზემოთ კი ციდან დაშვებული უკუნეთი გაწოლილყო.

— მიდი, ნუ ყოყმანობ! — მითხრა ბიჭუნამ.

სხვა რა გზა მქონდა, უღრანი ტყისკენ დავიძარი. მივა-ბიჯებდი ლარივით სწორ ბილიკზე და თანდათან ტყეს ვუახ-ლოვდებოდი.

თან ვფიქრობდი, ბრმა ბიჭმა ეს ყველაფერი საიდან იცის-მეთქი.

— სიბრმავე საზარელი უძლურებაა, არა? — მომესმა ზურგს უკან.

— ჰოდა, ზურგით რომ გატარებ, განა კარგი არ არის? — მივუგე მე.

— ძალიან მადლიერი კი ვარ, ზურგით რომ მატარებ, მაგ-რამ იცი, რა ძნელია, როდესაც ვინმე დაგცინის და გამას-ხარავებს?! საშინელებაა, საკუთარი მშობელი რომ გიგდებს აბუჩად.

³ 1 სუნი – დაახლოებით 3 სანტიმეტრი.

თავი ძალიან ცუდად ვიგრძენი. სასწრაფოდ ტყეში უნდა შევიდე და სადმე მივატოვო-მეთქი, გავიფიქრე და ნაბიჯს ავუჩქარე.

— კიდევ ცოტა იარე და მიხვდები, — თქვა მან და, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, დაამატა: — ზუსტად ასეთი საღამო იყო მაშინაც...

— რაო? რას მივხვდები? — ვკითხე შეძრნუნებულმა.

— ვითომ არ იცი! — ირონიულად მიპასუხა ბიჭმა.

ვიგრძენი, რომ რაღაც მართლაც ვიცი, მაგრამ ზუსტად ვერ ვხვდები, რა. მახსენდება, რომ ოდესძაც ასეთი საღამო უნდა ყოფილიყო და ვგრძნობ, კიდევ ცოტას თუ გავიღლი, ყველაფერს მივხვდები, თან გული მიგრძნობს, ეს საზარელი რამ იქნება. ჰოდა, სანამ მივხვდები, მანამდე უნდა მივატოვო ეს ბავშვი და დავმშვიდდე-მეთქი. ფეხს უფრო ავუჩქრე.

წვიმა არ წყდებოდა. ბილიკი თანდათან ჩაბნელდა, მე კი ლამის გონება დავკარგე. ბიჭუნა ისევ ზურგზე მყავდა მოკიდებული. მეჩვენებოდა, რომ სწორედ ამ ბიჭუნამ მოჰყონა ნათელი ჩემს ნარსულს, აწმყოსა და მომავალს. თითქოს, როგორც სარკემ, ისე აირეკლა და მისხალ-მისხალ გამოიაშკარავა ჭეშმარიტება. მაგრამ როგორ? ის ხომ ჩემი შვილია და თანაც ბრმა-მეთქი, ვფიქრობდი. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— აქ არის, აქ! ზუსტად ამ კედრის ძირში იყო! — გარკვევით გაისმა სიბნელეში ბავშვის ხმა. უნებლიერ შევჩერდი. უკვე ტყეში შევსულიყავით. 1 კენის⁴ მოშორებით მდგარი შავი სილუეტი ნამდვილად კედარი იყო.

— მამიკო, ამ კედრის ძირში მოხდა, არა?

— ჰო, აქ მოხდა, — დაუფიქრებლად წამომცდა.

⁴ 1 კენი – 1,8 მეტრი.

– ბუნკას ეპოქის მეხუთე წელი⁵ დრაკონის წელიწადი იყო, არა?

გამახსენდა, რომ მაშინ სწორედ ბუნკას ეპოქის მეხუთე წელი – დრაკონის წელიწადი უნდა ყოფილიყო.

– ზუსტად ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მომკალი.

ეს გავიგონე და იმ წამსვე ყველაფერი ამოტივტივდა ჩემს გონებაში. მას შემდეგ უკვე ასი წელი გასულიყო. ბუნკას ეპოქის მეხუთე წელს, დრაკონის წლის ერთ ასეთივე ბნელ ღამეს, აქ, ამ კედრის ძირში, მე უსინათლო კაცი მოვკალი. მივხვდი თუ არა, რომ კაცის მკვლელი ვიყავი, ის ბავშვი, რომელიც ზურგზე მყავდა მოკიდებული, ისე აუტანლად დამძიმდა, როგორც ღვთაება ჯიძოს ქვის ქანდაკება.

ლამე მეოთხე

მინისპირა სართულზე, დიდი ოთახის შუაგულში, დაბალი მაგიდა დაედგათ, მის გარშემო კი ხის პატარა სკამები შემოეწყოთ. მაგიდა შავად იყო გალაქტული და ბზინავდა. მაგიდის ერთ კუთხში ბერიკაცი იჯდა. წინ ოთხკუთხა ლანგარი ედო, საკეს სვამდა და ხემსს აყოლებდა.

ბერიკაცს საკეს სმისგან სახე აღაუდასებოდა. კანი ისე უპრიალებდა, ნაოჭის მსგავსიც კი არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ მისი ხშირი თეთრი წვერით თუ მიხვდებოდით, რომ უკვე ასაკოვანი იყო. მე ბავშვი გახლდით და ვფიქრობდი, ნეტავ,

⁵ 1808 წელი – იგულისხმება მოთხრობის დაწერიდან და გამოქვეყნებიდან ზუსტად ასი წლის წინანდელი პერიოდი. ბუნკას ეპოქაში (1804-1818 წწ.) იაპონიამ დასავლეურ ცივილიზაციასთან დახლოება დაიწყო.

რამდენი წლისა იქნება-მეთქი ეს მოხუცი. მალე დიასახლი-სი გამოჩენდა. უკანა ეზოს წყლის ავზიდან ხის გობით წყალი მოეტანა. წინსაფარზე ხელი შეინმინდა და ბერიკაცს ჰკითხა:

– რამდენი წლისა ბრძანდები, მოხუცო?

ბერიკაცმა, რომელსაც პირი ჰქონდა გამოტენილი, ლუკმა გადაყლაპა და დიასახლისს უგულოდ უპასუხა:

– ალარც კი მახსოვეს, რამდენისა ვარ.

დიასახლისმა შემშრალებული ხელები ობიში ჩაინყო. ერთხანს ასე იდგა და ბერიკაცს გვერდიდან უცქერდა. კაცმა მოზრდილი ფიალა მოიყუდა, საკე ბოლომდე გამოცალა და თეთრი წვერიდან ოხვრა ამოუშვა. ამ დროს დიასახლისმა ჰკითხა:

– და სად არის შენი სახლი, მოხუცო?

ბერიკაცმა ოხვრა შეწყვიტა და მიუგო:

– მუცელშია, ჭიპთან ახლოს.

დიასახლისს ხელები ისევ ობიში ეწყო. სად მიდიხარო, ჰკითხა. ბერიკაცმა შემთბარი საკეთი სავსე დიდი ფიალა ისევ გამოცალა და კვლავ ღრმა ოხვრა ამოუშვა.

– აი, იქ, – გაისმა პასუხი.

– სად, იქ? პირდაპირ? – ჰკითხა ქალმა.

ამ დროს ბერიკაცის ოხვრამ ოთახის ტიხარში გაიარა და ტირიფის ხეს ჩაუარა. პირდაპირ მდინარის სანაპიროსაკენ მიიჩევდა.

ბერიკაცი გარეთ გავიდა. მე უკან მივყევი. წელზე პატარა ყელიანი გოგრა⁶ ეკიდა, მხარზე ოთხუთხა ყუთი მოეკიდა. ტანზე მომდგარი ცისფერი შარვალი და ამავე ფერის უმკლავებო ზედატანი ეცვა. მისი ყვითელი ფერის სათითურებიანი წინდები ტყავისგან შეკერილს ჰგავდა.

⁶ ყელიანი გოგრისგან ერთგვარ ჭურჭელს ამზადებდნენ, რომელიც პატარა ბიდონის ფუნქციას ასრულებდა.

ბერიკაცი ტირიფისკენ გაეშურა, რომლის ძირში სამი თუ ოთხი ბავშვი იჯდა. წელიდან ღიმილით მოიხსნა ცისფერი ხელსახოცი, ბანარივით დაგრიხა და მიწაზე დადო. მერე მის გარშემო დიდი წრე შემოხაზა. ბოლოს მხარზე მოკიდებული ყუთიდან სპილენძის სტვირი ამოიღო, ისეთი, შაქარყინულის გამყიდველებს რომ დააქვთ ხოლმე.

— ახლა ეს ხელსახოცი გველად გადაიქცევა. უყურეთ, უყურეთ! — იმეორებდა ბერიკაცი.

ბავშვები ხელსახოცს უცქერდნენ. მეც მათთან ერთად ვუყურებდი.

— უყურეთ, უყურეთ, რა კარგი რამ იქნება! — იძახდა ბერიკაცი, თან სტვირს უკრავდა და წრეს გარშემო უვლიდა. თვალი არ მომიშორებია, მაგრამ ხელსახოცი არც შეტოკებულა, ბერიკაცი კი სტვირს მაინც შეუსვენებლივ უკრავდა. ამასობაში წრეს ბევრჯერ შემოუარა. თავისი ჩალის სანდლებით ფრთხილად მოძრაობდა. ხელსახოცის მიმართ მოწინების გრძნობით წრეს უხმო ნაბიჯით უვლიდა. ეს საშიში ჩანდა და თან საინტერესოც იყო.

ბოლოს ბერიკაცმა დაკვრა შეწყვიტა, ყუთს სახურავი ახადა, ხელსახოცს ხელი წამოავლო და ყუთში ჩადო — აი, თუ ყუთში ჩავდებ, გველად გადაიქცევაო, ახლავე გაჩვენებთო, გაიძახოდა.

მერე პირდაპირ აიღო გეზი. ჯერ ტირიფის ხის ქვეშ გაიარა და შემდეგ ვიწრო ბილიკს გაუყვა. მე ძალიან მინდოდა გველის ნახვა, ამიტომ ბილიკზე უკან ავედევნე და სადამდეც შემეძლო, მივყვებოდი. ახლავე გადაიქცევა, გველად გადაიქცევაო, იმეორებდა ბერიკაცი.

„ახლავე გადაიქცევა, გველად გადაიქცევა,

ნამდვილად გადაიქცევა... ასე უკრავს ჩემი სტვირი...“

ასე ლილინ-ლილინით მიადგა მდინარის ნაპირს. იქ არც ხიდი იყო და არც ნავი ჩანდა სადმე. ვიფიქრე, შეისვენებს და იმ ყუთში გველს დამანახვებს-მეთქი, მაგრამ არა – ბერიკაცი მდინარეში შევიდა. წყალი ჯერ მუხლამდე, შემდეგ წელამდე და ბოლოს მკერდამდე მისწვდა, ის კი ლილინებდა:

„წყალი ღრმა იქნება. ლამე ბნელი იქნება.

გზაც პირდაპირ ივლის...“

ასე სიმღერით მიიწვედა წინ. ნელ-ნელა ჯერ მისი წვერი და თმა, შემდეგ კი მისი თავი და თავშალიც გაუჩინარდა. გავიფიქრე, იქნებ გალმა გავიდეს და გველი იქიდან დამანახვოს-მეთქი. მარტოდმარტო ვიდექი. გარშემო მდინარის ლელქაში შრიალებდა. დიდხანს ველოდე ბერიკაცს, მაგრამ ის აღარ გამოჩენილა.

ლამე მეხუთე

სიზმარი ვნახე.

ეს ძალზე ძველი ამბავია. უხსოვარ დროში, ვგონებ, ლმერ-თების ხანაში უნდა მომხდარიყო. მტერთან ერთ-ერთი შეტაკებისას ბედმა მიმუხთლა და დავმარცხდი. მტრებმა ცოცხლად შემიპყრეს და თავიანთ წინამდლოლს მიმგვარეს.

იმ ხანის ადამიანები ტანად მაღალნი იყვნენ. ყველას გრძელი წვერი ჰქონდა. წელზე შემორტყმულ ტყავის სარტყლებზე კომბალივით გრძელი ხმლები ეკიდათ, მათი მსხვილი მშვილდები კი, გლიცინიის ტოტებს რომ წააგავდა, ძალზე უბრალო რამ იყო, არც – გალაქული და არც – გაპრიალებული.